


პროფესიული განათლების რეფორმა

შეფასების III ფაზა

2018 წლის 19 დეკემბერს, რეფორმეტრის მესამე ფაზა პროფესიული განათლების რეფორმის შესრულების შეფასებით გაგრძელდა.


სამთავრობო კვლევამ აჩვენა, რომ ამ ეტაპისთვის, რეფორმის 2017-18 წლების სამოქმედო გეგმის 70%-ია შესრულებული.

ზოგადი შეფასება




მთავრობის ანგარიშის მიხედვით, განხორციელდა პროფესიული კვალიფიკაციების ფორმირება საერთაშორისო გამოცდილების და დამსაქმებელთა ჩართულობით შემუშავებული პროფესიული სტანდარტების საფუძველზე. ასევე, დაინერგა სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების/დუალური პროგრამები. პროცესშია განათლების მიღმა დარჩენილი პირების პროფესიულ განათლებაში ჩართვის მექანიზმების შემუშავება და პროფესიულ განათლებაში ზრდასრულთა სწავლების მოდელის დანერგვა. ჯერ არ შექმნილა პროფესიული კვალიფიკაციების რეესტრი და არ მომხდარა აკადემიური განათლების პირველი საფეხურის ფარგლებში პროფესიულ განათლებაში მიღებული კრედიტების აღიარება. ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩო უკვე თავსებადია ევროპის კვალიფიკაციების ჩარჩოსთან. განახლებული საკანონმდებლო ბაზის საფუძველზე, განხორციელდა პროფესიულ განათლებაში ზოგადსაგანმანათლებლო კომპონენტის ინტეგრირება.

2018 წლის დეკემბრის მდგომარეობით, რეფორმის სრული, 2013-21 წლების გეგმის 55,65%-ია შესრულებული.



დაინტერესებულ მხარეთა ჯგუფმა რეფორმას 10 მაქსიმალური ქულიდან 6.5 ქულა დაუწერა, რაც უფრო მცირეა, ვიდრე წინა შეფასება. განწყობები შემცირებულია ყველა კომპონენტში.




შეხვედრაზე გაიმართა **დისკუსია**, რომელსაც, დაინტერესებული ჯგუფების წარმომადგენლებთან ერთად, განათლებისა და მეცნიერების მინისტრის პირველი მოადგილე ირინე აბულაძე და პროფესიული განათლების განვითარების დეპარტამენტის უფროსი ირინა წეროძე ესწრებოდნენ. სამინისტრომ წარადგინა პროფესიულ განათლებაში ზრდასრულთა სწავლების მოდელის საკუთარი ხედვა, რომელიც კერძო სექტორს არსებული მომზადების ფორმალიზების საშუალებას მისცემს. მონაწილეებმა შემდეგ მნიშვნელოვან საკითხებს გაუსვეს ხაზი:

- მოკლევადიანი კურსების არსებობა ზრდასრულთა მომზადება-გადამზადებისათვის ძალიან მნიშვნელოვანია იმდენად, რამდენადაც ამ პროცესში კერძო სექტორი, ანუ დამსაქმებლები, პირდაპირ იქნებიან ჩართულები, რაც ხარისხის გარანტი იქნება. პროცესის მონიტორინგის ვალდებულებას კი, განათლების სამინისტრო აიღებს. ამ გზით შესაძლებელი იქნება დასაქმების მაჩვენებლისა და მოსახლეობის მუშაობის ეფექტურობის ზრდაც. განათლების სამინისტროს ჩართულობა ამ პროცესის ფორმალიზებასა და კერძო სექტორისთვის ხარჯების შემსუბუქებას უზრუნველყოფს.
- კერძო სექტორის აზირთ, ხშირად, პროფესიული სასწავლებლების კურსდამთავრებულები ვერ აკმაყოფილებენ სამუშაო ბაზრის მოთხოვნებს და კერძო სექტორს თავისი ხარჯებით უწევთ მათი თავიდან მომზადება ან გადამზადება. კურსდამთავრებულების კომპეტენცია აცდენილია

მოლოდინს. ამის გამოსასწორებლად როგორც პროფესორების გადამზადება და მათი კომპეტენციის დონეა ასაწევი, ასევე აუცილებელია დიდი პროპაგანდა გაეწიოს სახელმწიფოს მხრიდან პროფესიულ განათლებას, რათა გახდეს უფრო პოპულარული და მაღალი მოსწრების მოსწავლეებიც დაინტერესდნენ. ბაზარი ფაქტობრივად შიმშილობს კვალიფიციური კადრებით.

- პროგრამების პრიორიტეტად გამოცხადებისას, ყურადღება არამხოლოდ მოთხოვნის რაოდენობრივ მაჩვენებლებს, არამედ პროფესიის მნიშვნელობასაც უნდა მიექცეს. ზოგიერთი მიმართულების პროფესიონალები საერთოდ არ არსებობს ქვეყანაში, მაგალითად გვირაბების ამფეთქებლები. შეიძლება სხვა პროფესიებთან შედარებით უფრო დანახარჯიანია ამ მიმართულების სწავლება, თუმცა ქვეყნისთვის და ბიზნესისთვის პროფესიონალების არსებობა ასეთი დეფიციტური მიმართულებით უმნიშვნელოვანესია.
- კოლეჯის წარმომადგენლებს ხშირად უჭირთ კერძო სექტორის წარმომადგენლების მოძიება და დათანხმება თანამშრომლობაზე. ეს მათთვის ზედმეტი ტვირთია და არ სურთ სტუდენტებმა უნარ-ჩვევები მათ ბაზაზე შეიძინონ.
- ზოგიერთმა კომპანიამ, ვერ იღებს რა მაღალი კვალიფიკაციის კადრებს კოლეჯებიდან, გადაწყვიტა საკუთარი სასწავლებლის შექმნა. მაგალითად, თეგეტა აკადემია მოამზადებს ტექნიკოსებს თეორიული ცოდნითა და პრაქტიკული გამოცდილებით.

შეფასების შედეგად, **რეფორმვერდიქტი** - მთავრობის ერთიანი შეფასება - შემცირდა და მან 5.15 შეადგინა.



რეფორმები

თითოეული რეფორმის კვალდაკვალ



USAID | **GEORGIA**
FROM THE AMERICAN PEOPLE



საქართველოს განათლების,
მეცნიერების, კულტურისა და
სპორტის სამინისტრო

რეფორმა

პროფესიული განათლების
რეფორმის სტრატეგია

განათლებისა და მეცნიერების
ერთიანი სტრატეგია

სტრატეგია
და სამოქმედო
გეგმა

2013-2020

სტრატეგია
და სამოქმედო
გეგმა

2017-2021

ReforMeter

Tracking Progress - One Reform at a Time

ISET



USAID
FROM THE AMERICAN PEOPLE

GEORGIA



Governing for
Growth
in Georgia

რა არის სამთავრობო კვლევა?

სამთავრობო კვლევა – სპეციალური, შეთანხმებული კითხვარის საშუალებით ზომავს კონკრეტული რეფორმის გეგმის შესრულებას

სეგმენტი	აღწერა	აქტივობის მაგალითი	შედეგის მაგალითი
1. ინსტიტუციური მოწყობა	- ფუნქციების განაწილება - სტრატეგია და სამოქმედო გეგმა	სტრატეგია	გეგმით გათვალისწინებული აქტივობების შესრულება
2. ადამიანური რესურსები	ადამიანური რესურსების მობილიზაცია და განვითარება	სააგენტოს ოპერაციონალარი მოწყობა	ტრენინგები
3. ინფრასტრუქტურა და ბიუჯეტი	- ბიუჯეტი - შენობა და მოწყობილობები	ბიუჯეტის მობილიზება	გრანტების გაცემა
4. კანონმდებლობა და რეგულაცია	საკანონმდებლო და რეგულატორული ჩარჩო	კანონმდებლობის ანალიზი	ახალი კანონი

ReforMeter

Tracking Progress - One Reform at a Time

ISET



USAID
FROM THE AMERICAN PEOPLE

GEORGIA




Governing for
Growth
in Georgia

რეფორმის შესრულება


III ფაზა
2017-18 გეგმა




ზოგადი შეფასება



ინსტიტუციური
მონაცემები




კომპეტენციის
გაძლიერება



ინფრასტრუქტურა
და ბიუჯეტი



სამართლებრივი
ჩარჩო



0% - გეგმის შესრულება არ დაწყებულია 100% - გეგმა სრულად შესრულდა

ReforMeter

Tracking Progress - One Reform at a Time

ISSET



USAID
FROM THE AMERICAN PEOPLE

GEORGIA



Governing for
Growth
in Georgia

ინსტიტუციური მოწყობა

ინსტიტუციური
მოწყობა



71.87%

პროგრესირებს

- ✓ პროფესიული კვალიფიკაციების ფორმირება საერთაშორისო გამოცდილების და დამსაქმებელთა ჩართულობით შემუშავებული პროფესიული სტანდარტების საფუძველზე
- ✓ სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების/დუალური პროგრამები
- ✓ სკოლებში პროფესიული განათლების კომპონენტების დანერგვის სტიმულირება
- ⚙ განათლების მიღმა დარჩენილი პირების პროფესიულ განათლებაში ჩართვის მექანიზმები
- ⚙ პროფესიულ განათლებაში ზრდასრულთა სწავლების მოდელის დანერგვა
- ⚙ პროფესიული განათლების პროვაიდერების დივერსიფიცირების მასტიმულირებელი მექანიზმები
- ⚙ საინფორმაციო კამპანიის წარმოება ახალი საკომუნიკაციო სტრატეგიის შესაბამისად

ReforMeter

Tracking Progress - One Reform at a Time

ISSET



USAID
FROM THE AMERICAN PEOPLE

GEORGIA



Governing for
Growth
in Georgia

კომპეტენციის გაძლიერება

კომპეტენციის
გაძლიერება



62.5%

პროგრესირებს

✓ პროფესიული განათლების პოპულარიზების მიზნით, სხვადასხვა სამიზნე ჯგუფების შესაძლებლობების გაძლიერება საკომუნიკაციო ტექნიკის გამოყენებაში

⚙ უცხოურ საგანმანათლებლო დაწესებულებებთან გაცვლითი პროგრამების შემუშავება

⚙ პროფესიული განათლების მასწავლებლების მომზადების, პროფესიაში შესვლის და უწყვეტი პროფესიული განვითარების ახალი მოდელის დანერგვა

ReforMeter

Tracking Progress - One Reform at a Time

ISET



USAID
FROM THE AMERICAN PEOPLE

GEORGIA



Governing for
Growth
in Georgia

ინფრასტრუქტურა და ბიუჯეტი

ინფრასტრუქტურა
და ბიუჯეტი



64% ↗

პროგრესირებს

- ✓ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების გეოგრაფიული დაფარვის გაუმჯობესება
- ⚙ პროფესიული კვალიფიკაციების რეესტრი
- ⚙ პროფესიული განათლების დამატებითი დაფინანსების წყაროების მოძიება
- ⚙ შედეგებზე ორიენტირებული, მოქნილი დაფინანსების მოდელი

ReforMeter

Tracking Progress - One Reform at a Time

ISET



USAID
FROM THE AMERICAN PEOPLE

GEORGIA



Governing for
Growth
in Georgia

სამართლებრივი ჩარჩო

სამართლებრივი
ჩარჩო



77.5% ↗

პროგრესირებს

- ✓ ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს ევროპის კვალიფიკაციების ჩარჩოსთან თავსებადობა
- ✓ განახლებული საკანონმდებლო ბაზის საფუძველზე, პროფესიულ განათლებაში ზოგადსაგანმანათლებლო კომპონენტის ინტეგრირება
- ⚙ აკადემიური განათლების პირველი საფეხურის ფარგლებში პროფესიულ განათლებაში მიღებული კრედიტების აღიარება
- ⚙ ფორმალურ განათლებაში მიღებული კომპეტენციების აღიარების შესაძლებლობა სხვა პროგრამის მიზნებისთვის

ReforMeter

Tracking Progress - One Reform at a Time

ISET

პროფესიული განათლების რეფორმა

მესამე ფაზა


სტრატეგიული ამოცანა 1:

პროფესიული პროგრამების კურსდამთავრებულთა დასაქმების
მაჩვენებელი გაზრდილია



სტრატეგიული ამოცანა 1:


დუალური პროგრამების რიცხვი გაზრდილია



წყარო: 2017-2018 წწ პროფესიული განათლების რეფორმის ანგარიში


სტრატეგიული ამოცანა 2:

პროფესიული განათლებიდან განათლების შემდგომ საფეხურზე სწავლის
გაგრძელების მაჩვენებლის ზრდა



სტრატეგიული ამოცანა 2:


ზრდასრულთა განათლების პროგრამებში მონაწილეობის მაჩვენებლის
ზრდა



სტრატეგიული ამოცანა 3:

საზოგადოების ცნობიერების ზრდა

პროფესიული განათლების მიმართ დამოკიდებულება არის:




- პოზიტიური
- ნეიტრალური
- ნეგატიური
- უჭირს პასუხის გაცემა

წყარო: ევროკავშირის ტექნიკური დახმარების ფარგლებში ჩატარებული კვლევა, 2017


ReforMeter

Tracking Progress - One Reform at a Time


სახელმწიფო ბიუჯეტიდან პროფესიულ განათლებაზე დახარჯული ფულადი სახსრები იზრდება



პროფესიული სასწავლებლები საქართველოს ყველა რეგიონშია წარმოდგენილი,
რომელთაგან 68% კერძო, ხოლო 32% კი საჯარო სასწავლებლებია




პროფესიულ სასწავლებლებში ჩარიცხული სტუდენტების რაოდენობა 2018 წლისთვის შემცირდა




2018 წელს სტუდენტების უმრავლესობამ აირჩია მზარეულის პროფესია საჯარო სასწავლებლებში

საჯარო პროფესიულ სასწავლებლებში ჩარიცხული სტუდენტების რაოდენობა



წყარო: განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა

2018 წელს სტუდენტების უმრავლესობამ აირჩია პრაქტიკოსი ექთნის პროფესია კერძო სასწავლებლებში



რეფორმები

თითოეული რეფორმის კვალდაკვალ